# გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 220 (3704)

7 ნოემბერი, ხუთშაბათი. 1968 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 35-ე წელი.

## მოსკოვსა და თბილისში

6 ნოემბერს, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51-ე წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა.

• • •

გუშინ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 51 წლისთავს.

მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე შ. დ. კიკნაძე.

## საბჭოთა გუნდი მიუწვდომელია

ლუგანო, 5 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა საჭადრაკო ოლიმპიადის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე გაინაღდა დედამიწის ზურგზე უძლიერესი გუნდის სახელი. ამრიგად, მან ზედიზედ მეცხრედ მოიპოვა I ადგილი მსოფლიო ოლიმპიადაში.

სსრ კავშირის გუნდი მიუწვდომელი გახდა მას შემდეგ, რაც დღეს, გადადებული პარტიების დამთავრებისას, ქვეყნის ჩემპიონმა ლ. პოლუგაევსკიმ 50-ე სვლაზე დაამარცხა დანიელი ჰ. ნიელსენი და სსრ კავშირი — დანიის მატჩის ანგარიში „დაამრგვალა" — 4:0. ახლა საბჭოთა დიდოსტატებს 35,5 ქულა აქვთ, ხოლო II ადგილზე მყოფ იუგოსლავიელებს — 27.

ლუგანო, 6 ნოემბერი. ოლიმპიადაში პირველობის განაღდების შემდეგ საბჭოთა კავშირის გუნდი გფრ-ის მოჭადრაკეებს შეხვდა და მატჩი ყაიმით დაამთავრა — 2:2. ნახევარ-ნახევარი ქულა ჩაიწერეს ბ. სპასკიმ და ვ. უნციკერმა, ვ. კორჩნოიმ და ლ. შმიდმა, პოლუგაევსკიმ და ჰ. პფლეგერმა, ვ. სმისლოვმა და რ. ჰიუბნერმა.

მთავარი ფინალური ტურნირის XII ტურის სხვა შედეგები ასეთია: უნგრეთი — დანია 1,5:0,5 (ლ. პორტიშმა დაამარცხა ბ. ლარსენი. 2 პარტია გადაიდო), არგენტინა — იუგოსლავია 1,5:1,5 (1), ჩეხოსლოვაკია — ფილიპინები 1,5:1,5 (1), აშშ — პოლონეთი 2:1 (1), რუმინეთი — გდრ 2,5:1,5, ბულგარეთი — კანადა 2:2.

ოქროს მედლების საკითხი, როგორც ცნობილია, საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდაა გადაწყვეტილი. გრძელდება ბრძოლა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის.

ბოლო, XIII ტურის წინ მოწინავეთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: სსრ კავშირი — 37,5 ქულა, იუგოსლავია — 28,5, აშშ — 27, ბულგარეთი და გფრ — 26,5-26,5, უნგრეთი — 24,5, არგენტინა — 23 (აქ აღნიშნული არ არის ამ ტურში გადადებული პარტიების რაოდენობა).




ნახ. გ. იაშვილისა.

## სპორტული წოდება კოსმონავტს

ღირსშესანიშნავი მიღწევისთვის — ოთხდღეღამიანი ორბიტული ფრენისთვის, რომლის დროსაც განხორციელდა კოსმოსური ხომალდის „სოიუზ-3"-ის მრავალგზის მანევრირება და მოხდა ორგზის მიახლოება კოსმოსურ ხომალდ „სოიუზ-2"-თან, მფრინავ კოსმონავტს გიორგი ტიმოთეს ძე ბერეგოვოის მიეკუთვნა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. (საკდესი).

## თანა სდევს მარად

ალისფერ დროშას
რომ არხევდა
ნიავი ფრთხილად,
შუქიც რომ კრთოდა
მწვერვალებზე
ცით მოვლენილი,
უკუნი ღამის
მკერდს იხსნიდა
ნანატრი დილა,
განთიადს დინჯად
მოუძღოდა დიდი
ლენინი.
ისმოდა მხევრევა
ბორკილების,
მშრომელთა ჩაგვრის
ხსენებაც თითქოს
თან მიჰქონდათ
ნოემბრის ქარებს,
ჟღერდა მძლავრად,
გაიმართა სიმები ჩანგის
და გული გრძნობდა
უჩვეულო სითბოს და
ალერსს...
გადაეცალა
მშობლიურ მთებს
სიბნელის ჩრდილი,
სასურველ დღეებს
ადიადებს
ყველა მარჯვენა,
ნოემბრის თვეში
გათენებულ
ხანუკვარ დილას
თანა სდევს მარად
სიხარული და
გამარჯვება!

ილია არონსია.

## მიღწეულით არ კმაყოფილდებიან

გუშინ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ გ. ცქიტიშვილმა რედაქციას ტელეფონით აცნობა, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და „ბურევესტნიკის" სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების წლიური გეგმა-ვალდებულება. ამ საზოგადოების ფიზკულტურულ კოლექტივებს გეგმით 46 სპორტის ოსტატი უნდა მოემზადებინათ, სინამდვილეში მომზადდა 50. სპორტის ოსტატობის კანდიდატთა მომზადების გეგმა არ ჰქონიათ, მაგრამ ეს ნორმატივი 70 სპორტსმენმა შეასრულა. 420 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 430, 1000 მეორეთანრიგოსნის მაგიერ — 1110, III თანრიგის ნორმატივი შეასრულა 8400 სპორტსმენმა, რაც გეგმას 200 კაცით აღემატება.

თანრიგოსანი სპორტსმენებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადება გრძელდება.

# მეგობართა შეხვედრა



გუშინწინ თბილისის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო აშხაბადიდან დაბრუნებულ მოჭადრაკეებს — ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის გმირებს ნანა ალექსანდრიასა და ალა ჩაიკოვსკაიას, რომელთაც I-II ადგილები გაიყვეს. აეროპორტში თავი მოიყარეს მათმა მშობლებმა, მეგობრებმა და ნაცნობებმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წარმომადგენლებმა. ნანას და ალას გამარჯვება მიულოცა მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა. მან თქვა, რომ ერთი რესპუბლიკიდან ერთდროულად ორი მოჭადრაკის ასეთი წარმატება იშვიათია და ამიტომ განსაკუთრებით სასიხარულოა.

გუშინ ჩემპიონატის მონაწილენი — ნ. ალექსანდრია, ა. ჩაიკოვსკაია და მ. სანაძე, აგრეთვე, ალექსანდრიას მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ბ. გურგენიძე და სპორტის ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში გ. ნადარეიშვილი სტუმრად იყვნენ გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქციაში. მათ რედაქციის მუშაკებს გაუზიარეს ჩემპიონატზე მიღებული შთაბეჭდილებები, უამბეს შეჯიბრების შედეგებზე და თავიანთ სამერმისო გეგმებზე.

სურათზე: შეხვედრა თბილისის აეროპორტში. მარცხნიდან — ა. ჩაიკოვსკაია, ნ. ალექსანდრია, ნ. გაფრინდაშვილი.

ფოტო ბ. გიგაურისა.

## სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXVIII ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | ქულა | ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნ. ალექსანდრია | თბილისი | ■ | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 13.5 | I–II |
| 2 | ა. ჩაიკოვსკაია | თბილისი | 0 | ■ | 1 | ½ | 0 | 0 | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 13.5 | I–II |
| 3 | მ. რანიკე | ტალინი | ½ | 0 | ■ | ½ | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 13 | III |
| 4 | ვ. ბორისენკო | ტაშკენტი | ½ | ½ | ½ | ■ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 12.5 | IV–V |
| 5 | ნ. კონოპლიოვა | მოსკოვი | 0 | 1 | 1 | ½ | ■ | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 12.5 | IV–V |
| 6 | რ. ბილუნოვა | მოს. ოლქი | 0 | 1 | 0 | ½ | ½ | ■ | 0 | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | 12 | VI |
| 7 | ი. კაცკოვა | მოსკოვი | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | ■ | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | ½ | 0 | 1 | ½ | 1 | 1 | 1 | 1 | 11.5 | VII |
| 8 | ა. სავბინა | მოს. ოლქი | 1 | 0 | 0 | 0 | ½ | 1 | 1 | ■ | ½ | 0 | ½ | 1 | 1 | 1 | ½ | ½ | 1 | ½ | ½ | ½ | 11 | VIII |
| 9 | ნ. მეჟიახიოვა | მოსკოვი | 0 | 0 | 1 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | ■ | ½ | 1 | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | ½ | ½ | 1 | ½ | 10.5 | IX–X |
| 10 | მ. შული | ლვოვი | 1 | 0 | 1 | 0 | ½ | 0 | 0 | 1 | ½ | ■ | ½ | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 10.5 | IX–X |
| 11 | ტ. ზატულოვსკაია | ბაქო | 1 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ■ | ½ | 0 | 1 | 1 | ½ | 1 | 0 | 1 | ½ | 9.5 | XI |
| 12 | თ. ბოლოტოვა | მინსკი | 1 | ½ | 0 | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | ■ | ½ | 1 | 0 | ½ | 1 | ½ | 1 | 1 | 9 | XII |
| 13 | თ. ბელოვა | პსკოვი | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | 1 | 1 | ½ | ■ | 1 | ½ | 0 | ½ | 1 | 0 | 1 | 8.5 | XIII |
| 14 | რ. ესტერასინა | ლენინგრადი | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ■ | 1 | 1 | ½ | 1 | ½ | ½ | 7.5 | XIV |
| 15 | ი. ბურჩინაელი | ვოლგოგრადი | ½ | ½ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | ½ | 0 | ■ | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 7 | XV–XVI |
| 16 | ვ. ზვორიკინა | მინსკი | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | ½ | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 0 | 0 | ■ | ½ | ½ | 1 | 1 | 7 | XV–XVI |
| 17 | მ. სანაძე | თბილისი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | ■ | 1 | 1 | 1 | 6 | XVII–XVIII |
| 18 | ლ. სტარჩენკო | ალმა-ათა | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | 1 | 1 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | ■ | 1 | 0 | 6 | XVII–XVIII |
| 19 | ლ. რუდენკო | ლენინგრადი | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | ½ | 1 | 0 | 0 | 0 | ■ | 0 | 4.5 | XIX–XX |
| 20 | ნ. რუსინკევიჩი | დონეცკი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ½ | 0 | ½ | ½ | 0 | ½ | 0 | 0 | ½ | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | ■ | 4.5 | XIX–XX |

დეპეშა თეთრიწყაროდან

## წლიური გეგმა ათ თვეში

თეთრიწყაროს რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა წარმატებით შეასრულეს ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების წლიური გეგმა-ვალდებულება. გეგმის ზევით მომზადებულია 7 პირველთანრიგოსანი, 53 მეორეთანრიგოსანი, 475 მესამეთანრიგოსანი, 387 ჭაბუკთა თანრიგის სპორტსმენი, აგრეთვე, 783 ინსტრუქტორი და მსაჯი.

ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადება გრძელდება.

ა. ჩარექიშვილი,
რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

## ფართო სარბიელი „ღია სტარტებს"!

მამია ტულუში საინტერესო მოსაუბრეა. იგი განსაკუთრებით მაშინ გამოცოცხლდება ხოლმე, როცა სიტყვა „სპორტის დედოფალზე" ჩამოვარდება. მამია ძველი ქომაგია მძლეოსნობისა. იგი რესპუბლიკის რეკორდსმენი იყო თარჯრბენში, საქალაქო სპორტკავშირში მძლეოსნობაზე პასუხისმგებლობა ებარა, ახლა კი თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის დირექტორია. ამას წინათ მან „ოლიმპიურ თამაშებზე" მიგვიწვია. ხუმრობით ასე უწოდეს თავიანთ „ღია სტარტებს" ტულუშის სკოლის აღსაზრდელებმა. მოწვეული ჰყავდათ გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის მძლეოსნები და საქართველოს პროფსაბჭოს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული მძლეოსნური სპორტული სკოლის მოსწავლეები. მოწვევით მოიწვიეს, მაგრამ მასპინძლობა კი „დაივიწყეს" და ბევრ სახეობაში დაამარცხეს.

მძლეოსნური ტურნირი ექვს დღეს გაგრძელდა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 16 წლის უროს მტყორცნელმა ე. გაფრინდაშვილმა. იგი 85-ე სკოლის გამოსაშვებ კლასშია და სურს კარგად მოემზადოს გამოცდებისთვის. სპორტულ გამოცდას კი ჯერჯერობით ფრიადზე აბარებს. ელგუჯამ ურო 60,64 მეტრზე გაგზავნა. ეს საშუალო ასაკის ჭაბუკთა ახალი რესპუბლიკური რეკორდია. გაფრინდაშვილმა ერთი სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე რეკორდი. ამ წარმატებაში წვლილი მიუძღვის მწვრთნელ ა. სადღეოისაც.

ს. პავლოვა სულ 12 წლისაა, მაგრამ უკვე ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა. მან თავის ცხოვრებაში პირველად მიიღო სიგელი ოთხჭიდში გამარჯვებისთვის.

ლენინის სტადიონზე გამართული ამ მძლეოსნური მარათონის 330 მონაწილე სამ ასაკობრივ ჯგუფად იყო დაყოფილი: უმცროსი (11-12 წლისანი), საშუალო (13-14) და უფროსი (15-16).

ზოგიერთ სახეობაში გამარჯვება სტუმრებსაც ხვდათ. ტ. ივანოვამ 300 მეტრზე რბენაში 45,0 აჩვენა და მოზრდილთა II თანრიგი შეასრულა. ლ. ჭარბაძე (უფროსი ასაკი) საუკეთესო იყო 400 მეტრზე (1.01,4) რბენაში, მისმა თანატოლმა ი. ევრანოვამ კი ორგზის გაიმარჯვა: სიგრძეზე ხტომასა (508) და 80 მეტრზე თარჯრბენში (12,1). ორივე მაჩვენებელი II თანრიგისაა.

ინტერნატის წარმომადგენელმა ნ. ჩიკოიძემ ყველას აჯობა უფროსი ასაკის გოგონებში ბადროს ტყორცნასა (32,76) და ბირთვის კვრაში (10,36). ამ სახეობებში პირველი იყო მისი მეგობარი, საშუალო ასაკის ჯგუფში მოასპარეზე ვ. გოგოჭურიც (ბირთვი — 11,55, ბადრო — 35 მ).

ყველაზე მეტი გამარჯვების ქულა — 4.154 (II თანრიგი) მიიღო რვაჭიდში მოასპარეზე ვ. ამოსოვმა.

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსკოლის წარმომადგენლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ს. ხვისტელნიკოვი (უფროსი ასაკი. 100 მ — 11,3, 200 მ — 24,0) და გ. ბედოშვილი (საშუალო ასაკი. ბადროს ტყორცნა — 43,06, ბირთვის კვრა — 11,08).

...კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: „ღია სტარტები" ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ბოლო დროს ამ საინტერესო შეჯიბრებებს ნაკლები ყურადღება ექცევა.

ვ. ბუკინი,
I კატეგორიის მსაჯი.

## სამ სახეობაში

ქობულეთში სამ დღეს გრძელდებოდა რაიონული სპარტაკიადა, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში შედიოდა სამი სახეობა (კალათბურთი, ჭადრაკი და მაგიდის ჩოგბურთი). მონაწილეობდნენ „კოლმეურნის", „განთიადის", „შრომითი რეზერვების", ქალაქის საშუალო სკოლებისა და სპორტული სკოლის კოლექტივები.

კალათბურთში უძლიერესნი აღმოჩნდნენ სპორტსკოლის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

ჭადრაკში პირველ ადგილზე გავიდა „კოლმეურნე". პირად ჩათვლაში ყველას აჯობეს ამავე საზოგადოების წარმომადგენლებმა თ. სიხარულიძემ და გ. მესხიძემ.

მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვება სპორტსკოლის წარმომადგენლებს ხვდათ წილად. პირად ჩათვლაში სკოლის სპორტსმენები ვ. კულიკოვსკი და ტ. ნიკოვსკაია იყვნენ უძლიერესნი.

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ბავშვთა სპორტული სკოლის კოლექტივმა. II ადგილზე „კოლმეურნე", III — ი. გაგარინის სახელობის მე-2 რუსული საშუალო სკოლა.

ლ. ტრაპაიძე,
(ჩვენი კორ.)

ქობულეთი.

წერილი რედაქციას

## უნივერსიტეტის წვლილი ერთობ დიდია

ჩვენთვის ძალიან ძვირფასია ყველაფერი, რაც ქართული უნივერსიტეტის ისტორიას ეხება. ამიტომ არ შემიძლია დუმილით ავუარო გვერდი ო. ჟორდანიას წერილს „მნიშვნელოვანი წვლილი" (19 ოქტომბრის „ლელო"), რომელიც ჩვენს მეცნიერების ტაძარში ფეხბურთის განვითარებას ეძღვნება.

როგორც უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ძველმა ფეხბურთელმა, უნდა შევნიშნო, რომ ო. ჟორდანია ცდება, როცა გუნდის ჩამოყალიბების თარიღად 1925-26 წლებს მიიჩნევს. უკვე 1923-24 წლებში ეს გუნდი არსებობდა და ქუთაისშიც კი იყო სათამაშოდ. სინამდვილეში მაშინ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: გ. მახათაძე, ე. ფრუიძე, ლ. ხოტივარი, ს. იმნაძე, ა. ჟორდანია, ძმები ვ. და ნ. ამბოკაძეები, ნ. ხანიშვილი. უფრო გვიან მათთან ერთად თამაშობდნენ გ. ბალდოევი, გ. ქებაძე, ბ. გუნია.

1925 წელს უნივერსიტეტში უკვე 7 გუნდი იყო და, ზემოდასახელებულთა გარდა, ამ გუნდებში მონაწილეობდნენ გ. შხვაცაბაია, მ. ციციშვილი, ა. წულუკიძე, რ., ნ. და ვ. მდივნები, ძმები ლ. და რ. ბაგმანიანები, გ. და ი. ჯაფარიძეები, ლ. და ა. ფალავანდიშვილები, ა. წერეთელი, ვ. სოლოღაშვილი, ა. ხიხარულიძე, გ. ანდრონიკაშვილი და სხვ. ყველას ვერ ჩამოვთვლი.

მაშინ უნივერსიტეტის პირველი გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მხოლოდ ბდპო-ს (ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვა) და თბილისის „არმკლუბს" შეეძლოთ მასთან მეტოქეობა.

ამგვარად, თუ ვილაპარაკებთ უნივერსიტეტის წვლილზე ქართული ფეხბურთის განვითარებაში, პირველ ყოვლისა, უნდა ვიგულისხმოთ არა 30-ანი, არამედ 20-ანი წლები. ამ წლებში უნივერსიტეტს ჰყავდა უძლიერესი კოლექტივი, რომელიც მოწინავე როლს თამაშობდა რესპუბლიკაში.

ვ. ჩქიძანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




## რვა სერიის შემდეგ

ვაქვეყნებთ კონკურსის იმ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის" რვა სერიის ჯამში დააგროვეს:

79 ქულა — გ. კაკაურიძე (თბილისი).

78 ქულა — თ. ლებანიძე, გ. ხარაზიშვილი (ორივე — თბილისი).

77 ქულა — გ. ლორთქიფანიძე, გ. ტაბიძე, ა. ტაკიძე, ფ. ჯანყარაშვილი (ყველა — თბილისი), ე. ჯიჯიაშვილი (გარდაბნის რ. სოფ. შინდისი).

76 ქულა — ნ. ბაქრაძე, ა. ბესიაშვილი, ჯ. ბაშელეიშვილი, გ. კვაჭაძე, ჯ. მარკარიანი, გ. ჩეკურიშვილი, ჯ. ხუციბერიძე (ყველა — თბილისი), დ. ჩაკვაშვილი, დ. ჯანაშვილი (ორივე — ქუთაისი).

75 ქულა — ი. და ლ. ადამაშვილები, გ. ახალაძე, გ. ახრახაძე, ნ. ელერდაშვილი, მ. ზაქარაია, ნ. მასტიაშვილი, ი. პაროშინი, თ. ლვინეფაძე (ყველა — თბილისი).

74 ქულა — ი. ბუზიაშვილი, მ. სოფრომაძე (ორივე — ქუთაისი), კ. ოდიკაძე, ჯ. ძაგანია (ორივე — თბილისი).

73 ქულა — თ. ალფაიძე (ქუთაისი), ჯ. ვაშაკიძე (სამტრედია), გ. ჯაფარიძე (თბილისი).

72 ქულა — გ. ბასილაშვილი (თბილისი), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი), დ. ფაჩუაშვილი, ე. ხიშტოვანი (ორივე — ქუთაისი).

71 ქულა — ზ. ბიბილეიშვილი (წყალტუბო), თ. სიხარულიძე (თბილისი).

70 ქულა — ჯ. მჭედლიშვილი, გ. ხაბიაური (ორივე — თბილისი).

69 ქულა — ბ. ზახილაია (ფოთი), გ. მელქაძე (სამტრედია), მ. მამისთვალოვი, ზ. ქუთათელაძე (ორივე — თბილისი).

68 ქულა — მ. ჯავახაძე (ქუთაისი).

66 ქულა — გ. აბურჯანია (ფოთი), ი. გელოვანი (სამტრედია), რ. სეფიაშვილი (ქუთაისი).

64 ქულა — ჯ. ფირცხალაიშვილი (ლანჩხუთი).

ვაქვეყნებთ მომდევნო სერიის კითხვებს:

## მეცხრე სერია

1. რომელ წელს დამთავრდა თბილისის „დინამოს" სტადიონის მშენებლობა, როდის და რომელ გუნდებს შორის გაიმართა აქ პირველი ოფიციალური შეხვედრა?
2. დაასახელეთ შემთხვევა, როდესაც მნიშვნელოვან საერთაშორისო ოფიციალურ შეჯიბრებაში ერთ-ერთმა მოკრივემ ერთ დღეს ოქროს 2 მედალი მოიხვეჭა. როგორ და რა პირობებში მოხდა ეს?
3. რამდენი და რა ხარისხის მედლები დაიმსახურა ცნობილმა ავსტრიელმა მოთხილამურემ ანტონ (ტონი) ზაილერმა 1956 წელს კორტინა დ'ამპეცოში გამართულ შეჯიბრებაში?
4. დაასახელეთ მოჭადრაკეთა ორი ასეთი წყვილი: მამა — დიდოსტატი, შვილი — ოსტატი; დედა — ოსტატი, შვილი — დიდოსტატი.
5. ვინ არის ძალოსნობაში მსოფლიოს არაოფიციალური რეკორდის მფლობელი პირველი ქართველი სპორტსმენი?
6. დაასახელეთ საბჭოთა ფეხბურთელები, რომელთაც ყველაზე მეტი ბურთი აქვთ გატანილი ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის პირველობებში (იგულისხმება შესარჩევი ტურნირებიც).
7. დაასახელეთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ქართველი მოცურავეები.
8. ქალთა შორის პირველმა ვინ მოიპოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის საპატიო ტიტული?
9. რომელ წელს ჩაებნენ ქართველი ფრენბურთელი ქალები და ვაჟები საბჭოთა კავშირის პირველობებში და როგორი შედეგებით აღინიშნა მათი დებიუტი?
10. დაასახელეთ ერთ საფეხბურთო მატჩში გატანილი ყველაზე მეტი ბურთის ავტორები საკავშირო პირველობებში. რომელ წლებში და რომელ მატჩებში მოხდა ეს?

* * *

მეცხრე სერიის კითხვებზე პასუხების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 17 ნოემბერი (იგულისხმება საფოსტო განყოფილების შტემპელი), ხოლო ამავე სერიის პასუხები ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდება 21 ნოემბერს.

პასუხები გამოგზავნეთ შემდეგი მისამართით: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14. „ლელოს" რედაქცია, „სპორტული უნივერსიტეტი-68".

კონკურსის მონაწილეთ ვთხოვთ პასუხებს სახელთან და გვართან ერთად მიაწერონ თავიანთი მისამართი, კონვერტში ჩადონ ჩვენი გაზეთიდან ამოჭრილი მხოლოდ სპეციალური შესაბამისი კუპონი-9, რომელიც კითხვების სერიას ერთვის (წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხები რეგისტრირებული და განხილული არ იქნება).

კუპონი 9

## „ა" კლასი I ჯგუფი

### ნოემბერში...

8. სსრ კავშირის თასის ფინალი. „ტორპედო" (მოსკოვი) — „პახტაკორი".

8. სსრ კავშირის პირველობა. „ნეფტჩი" — „დინამო" (მინსკი), „შახტიორი" — „დინამო" (მოსკოვი), „არარატი" — „კრილია სოვეტოვი", ასკ (როსტოვი) — „დინამო" (კიევი), „ტორპედო" (ქუთაისი) — „ჩერნომორეცი", „კაირატი" — „ლოკომოტივი", „ზარია" — ცსკა, „დინამო" (კიროვაბადი) — „ზენიტი".

12. „დინამო" (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი", „ნეფტჩი" — „ზენიტი", „შახტიორი" — ცსკა, „არარატი" — „ტორპედო" (მოსკოვი), ასკ (როსტოვი) — „ჩერნომორეცი", „კაირატი" — „სპარტაკი", „პახტაკორი" — „ლოკომოტივი", „დინამო" (კიროვაბადი) — „დინამო" (მინსკი).

16. „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი), „ჩერნომორეცი" — „დინამო" (მინსკი).

17. „პახტაკორი" — „სპარტაკი".

## „მეშახტემ" დაამარცხა ერთ-ერთი ლიდერი

„ა" კლასი II ჯგუფი

შედგა „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფის გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ტყიბულის „მეშახტის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც თავიანთ მინდორზე დაამარცხეს ქვეჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი — გორკის „ვოლგა" — 3:2.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „სტროიტელი" (უფა) 3:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „რუბინი" (ყაზანი) 1:0, „თერგი" (გროზნო) — „ზვეზდა" (პერმი) 2:0, „დინამო" (მახაჩყალა) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 0:1, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ვოლგა" (ულიანოვსკი) 2:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 0:2.




## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი მატჩები.

● „სულორი" (ვანი) — „ისანი" (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

საკმაოდ უფერული მატჩის დამთავრებას აკლდა 2 წუთი და ანგარიში კი არ იყო გახსნილი. ამ დროს სტუმრების საჯარიმო მოედანზე მოწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა სინაურიძემ და გაიტანა გადამწყვეტი გოლი.

● „მშენებელი" (სიღნაღი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

● „ლაითური" (მახარაძის რაიონი) — „არაგვი" (მცხეთა) 2:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

მახარაძელი ფეხბურთელები დაწინაურდნენ უკვე მე-9 წუთზე კილაძის გოლის მეშვეობით. შემდგომში გოგოტიშვილმა განამტკიცა თავისი გუნდის გამარჯვება.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „აერო" (გალი) 2:0. მსაჯი ი. მჭედლიშვილი (თბილისი).

ზესტაფონელ ფეხბურთელებს უპირატესობა ეპყრათ მთელი ტაიმის განმავლობაში, რომელიც მათ მოიგეს ანგარიშით 1:0. შესვენების შემდეგ კაპანაძემ ზუსტად შეასრულა 11-მეტრიანი დარტყმა და „მეტალურგმა" მორიგი გამარჯვება ჩაიწერა გათამაშების ცხრილში.

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

საინტერესო ორმხრივი იერიშების შემდეგ წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა (გოლი გაიტანა კიზირიამ). პირველ გოლს მალე მეორეც მოჰყვა (ბირკაია) და წალენჯიხელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი. აღსანიშნავია, რომ ორივე გუნდის კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმები, მაგრამ არც ერთი არ იქნა რეალიზებული.

● „სინათლე" (თბილისი) — „ფიქარი" (წულუკიძე) 4:0. მსაჯი ი. ბოჭორაძე (თბილისი).

თბილისელებს თავიდანვე ჰქონდათ უპირატესობა, თუმცა ტაიმი მათ მინიმალური ანგარიშით მოიგეს (გოლის ავტორია სიმონიშვილი). შესვენების შემდეგ აივაზოვმა და თაბაგარმა კიდევ 3 გოლი გაიტანეს „ფიქრის" კარში.

● „კოლხეთი" (ცხაკაია) — „სამცხე" (აწყური) 5:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა და ჩემპიონობის პრეტენდენტმა — ცხაკაიას „კოლხეთმა" სრული უპირატესობით ჩაატარა მატჩი. გოლები „სამცხის" კარში გაიტანეს დარასელიამ (3), ხუბუნაიამ და ესებუამ.

● „მესხეთი" (ახალციხე) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) 4:0. მსაჯი ვ. დუბროვინი (თბილისი).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:0. მსაჯი ო. ოგანიანი (თბილისი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „სპარტაკი" (ბორჯომი) 4:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).

● „სინათლე" (თბილისი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 2:1. მსაჯი გ. ჩიფჩიური (თბილისი).

* * *

გამოტოვებული მატჩი ჩოხატაურის „ბახმაროსა" და აწყურის „სამცხეს" შორის დამთავრდა ჩოხატაურელთა გამარჯვებით — 3:1.

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

II ზონა

„საირმე" (მაიაკოვსკი) — „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) 0:1, „კოლხეთი" (ხობი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:3, „იმერეთი" (თერჯოლა) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (ოჩამჩირე) 1:0. ადიგენის „განახლებას" გამარჯვება ჩაეთვალა ფოთის „კოლხეთმშენთან" შეხვედრაში.

### გათამაშების ცხრილი
### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 7 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 38 | 22 | 10 | 6 | 65—28 | 54 |
| „კოლხეთი" (ცხაკაია) | 38 | 21 | 11 | 6 | 69—30 | 53 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 36 | 19 | 12 | 5 | 63—31 | 50 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 37 | 17 | 15 | 5 | 46—24 | 49 |
| „სინათლე" (თბილისი) | 34 | 19 | 7 | 8 | 48—26 | 45 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 38 | 17 | 11 | 10 | 59—54 | 45 |
| „სულორი" (ვანი) | 39 | 18 | 8 | 13 | 47—35 | 44 |
| „ფიქარი" (წულუკიძე) | 38 | 15 | 11 | 12 | 44—45 | 41 |
| „სპარტაკი" (ბორჯომი) | 38 | 14 | 12 | 12 | 49—43 | 40 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 38 | 12 | 14 | 12 | 56—43 | 38 |
| „აერო" (გალი) | 39 | 12 | 13 | 14 | 40—46 | 37 |
| „მშენებელი" (სიღნაღი) | 37 | 14 | 9 | 14 | 37—49 | 37 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 39 | 14 | 8 | 17 | 51—59 | 36 |
| „ლაითური" (მახარაძის რ-ნი) | 38 | 12 | 11 | 15 | 33—33 | 35 |
| „კოლმეურნე" (წალენჯიხა) | 38 | 13 | 7 | 18 | 37—59 | 33 |
| „ისანი" (თბილისი) | 37 | 11 | 8 | 18 | 29—45 | 30 |
| „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) | 38 | 8 | 13 | 17 | 31—51 | 29 |
| „სამცხე" (აწყური) | 36 | 9 | 10 | 17 | 39—51 | 28 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 36 | 8 | 11 | 17 | 28—44 | 27 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 36 | 9 | 8 | 19 | 36—55 | 26 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 36 | 8 | 8 | 20 | 30—57 | 24 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 38 | 8 | 5 | 25 | 25—56 | 21 |

## ფიზკულტურის კოლექტივები

## ყინული დაიძრა

თბილისის № 1 მაცივარში ფიზკულტურა და სპორტი დიდხანს დავიწყებული იყო, მაგრამ აი, აქ დირექტორად წარსულში ცნობილი მოკრივე შ. დვალი დაინიშნა და ყინულიც დაიძრა. დირექტორის თაოსნობით შეიძინეს მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის კომპლექტები, შეიქმნა სექციები, გაიმართა პირველი შეჯიბრებანი. მაგიდის ჩოგბურთში ყველას აჯობა მეკუჭნავე ა. პავლიაშვილმა, ჭადრაკში კი ჩემპიონობა ნ. მაგრაქველიძემ მოიპოვა. გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები გადასცეს.

დირექციას განზრახული აქვს მოაწყოს ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, გამართოს შეხვედრები მეზობელ კოლექტივებთან.

ა. კოტორაშვილი.



ორჯონიკიძეში დამთავრდა სსრ კავშირის იუნიორთა პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში. შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები, კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნები: რ. გომარელი (საშუალო წონა) და რ. ტარკილი (ქვემძიმე). თბილისელი გომარელი (მწვრთნელი ზ. ყიფშიძე) ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა, ხოლო სოხუმელი რ. ტარკილი (მწვრთნელი ვ. რადიმაშვილი) II ადგილზე გავიდა. გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „ავანგარდი", 2. „დინამო", 3. „ბურევესტნიკი".

სურათზე: რ. გომარელი ასპარეზობისას.





# მზარდი ოსტატობის ნიშნით

ეშერის იპოდრომზე ხუთ დღეს გაგრძელდა საქართველოს პირადგუნდური პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში. შეჯიბრება კომკავშირის 50 წლისთავისადმი იყო მიძღვნილი.

თბილისის საცხენოსნო-სპორტული ბაზის, ზუგდიდის, ცხაკაიას, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონების წარმომადგენლებს მიესალმა აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ა. ლვინჯილია. შემდეგ საზეიმოდ აღიმართა ალამი და შეჯიბრებაც დაიწყო.

პირველი დღის ასპარეზობა დაიწყეს „გახსნის პრიზზე“ დაბრკოლებათა გადალახვის ოსტატებმა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. კრაინენკომ (ზუგდიდი). გუნდურ ჩათვლაში პირველნი იყვნენ თბილისელი მხედრები, რომლებსაც გადაეცათ მალხაზ ერისთავის ხსოვნის პრიზი.

შემდეგ დღეებში კოკისპირულად წვიმდა, რამაც გააფუჭა საკონკურო მინდორი და გაართულა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში. მაგრამ ზოგიერთმა მხედარმა მაინც კარგი შედეგი აჩვენა. სამჭიდში უფროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობაში ტოლი არ ჰყავდა ზუგდიდელ ა. შჩუპლეცოვს. მეორე იყო გუდაუთელი ა. ლაკერბაია. უმცროსი ასაკის ცხენებით შეჯიბრება მოიგო თბილისელმა ზ. კალმახელიძემ. II ადგილზე გავიდა გულრიფშელი დ. ხოფერია.

„დიდ პრიზზე“ ცხენის გახედნაში გაიმარჯვა თბილისელმა ვ. ოძელაშვილმა. ამორჩევით დაბრკოლებათა გადალახვაში ყველას აჯობა ოჩამჩირელმა გ. ჯიტავამ, ხოლო ბოლთიერებაში საუკეთესო იყო თბილისელი ვ. პეშჩეროვი.

საინტერესო იყო შეჯიბრება „საქართველოს სსრ თასზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში, რომელიც ორ გიტად მოეწყო. გაიმარჯვა შეჯიბრების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ, ზუგდიდელმა ო. ჯაფარიძემ. II ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ა. კრაინენკომ, ხოლო III — თბილისელმა ქ. გაშიბაიზოვმა. ამ სახეობაში გუნდური პირველობა ზუგდიდელებმა მოიგეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს და საქართველოს სპორტკავშირის გარდამავალი პრიზი დაისაკუთრეს თბილისელმა მხედრებმა. II ადგილზე გავიდნენ ზუგდიდის, ხოლო III — გუდაუთის რაიონის წარმომადგენლები.

სსრ კავშირის საცხენოსნო სპორტის ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ვ. კრიჟიცკიმ გამარჯვებულებს პრიზები გადასცა და აღნიშნა ქართველ მხედართა მზარდი ოსტატობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში.

— განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ გამარჯვებულთა შორის ბევრია ახალგაზრდა სპორტსმენი, — თქვა მან.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაც ასპარეზობის მთავარი მსაჯის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის რ. კორძაიას დამსახურებაა.

**ვ. სემიონოვი.**
**(ჩვენი კორ.).**

სოხუმი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — დ. ხოფერია დაბრკოლების გადალახვისას; მარჯვნივ — მ. ერისთავის პრიზზე შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის გუნდი — (მარცხნიდან) გუნდის მწვრთნელი ა. კულიკოვი, ა. მანჯავიძე, ქ. გაშიბაიზოვი და დ. მალანია.

ფოტო ავტორისა.

# „სინათლე“ — ჩემპიონი

კალათბურთელ ვაჟთა წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატში თბილისის გუნდების — „სინათლისა“ და „ცისარტყელას“ მატჩის დროს შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიამ ვერ უზრუნველყო კვალიფიციური სამდივნო აპარატის შერჩევა, რის გამოც შეხვედრის შედეგი გაუქმებულ იქნა და იგი ხელმეორედ გახდა ჩასატარებელი.

და აი, გუნდები 1 ნოემბერს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შემდგომ კი „სინათლის“ (სპორტსაზოგადოება „სპარტაკი“) კალათბურთელებმა შეძლეს თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება და გაიმარჯვეს ანგარიშით 68:63.

ამრიგად, „სინათლის“ გუნდმა მოიხვეჭა საქართველოს ჩემპიონის წოდება.



სურათზე: „სინათლისა“ და „ცისარტყელას“ კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ე. რუხაძისა.

## ჩვენი ფაქტები

● **მონტევიდეო, 5 ნოემბერი.** აქ გრძელდება მსოფლიო პირველობაველოსპორტში. 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში ასპარეზობისას ამინდი ხელს არ უწყობდა სპორტსმენებს, მაგრამ შედეგები მაინც ურიგო როდი იყო. გაიმარჯვა მეხიკოს ოლიმპიური ვერცხლის მფლობელმა, დანიელმა ფრედბორგმა — 1.09,87. ვერცხლის მედალი წილად ხვდა ახალგაზრდა ამერიკელს საიმსს, ხოლო ბრინჯაო — იტალიელ სარტორის. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიური ჩემპიონი ტრანტენი (საფრანგეთი) სასპარეზოდ არ ჩამოსულა.

● **გორკი, 5 ნოემბერი.** დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში ჩაება 10 კოლექტივი, მაგრამ ტურნირის ბოლო დღეს მხოლოდ ოთხი გუნდის — შეიარაღებული ძალების, „დინამოს“, „სპარტაკისა“ და „ბურევესტნიკის“ ათლეტები განაგრძობდნენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას. საინტერესო ვითარება შეიქმნა ფინალური ბრძოლების წინ. არმიელებს განაღდებული ჰქონდათ გუნდური პირველობა, მაგრამ დანარჩენი საპრიზო ადგილების ბედი დამოკიდებული იყო „სპარტაკისა“ და „ბურევესტნიკის“ კოლექტივების შეხვედრის შედეგზე. ბურევესტნიკელებს საპრიზო ადგილზე გასვლისთვის აუცილებლად უნდა დაემარცხებინათ მეტოქეები. ეს მათ ვერ შეძლეს და საბოლოოდ IV ადგილით დაკმაყოფილდნენ. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. შეიარაღებული ძალები, 2. „დინამო“, 3. „სპარტაკი“.

# ოლიმპიური ჰოროსკოპი და სინამდვილე

ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკას“ რედაქცია ყოველ ოლიმპიურ წელიწადს აწყობს სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვას მძლეოსნობის ყველა სახეობაში თამაშების მოსალოდნელი პრიზიორების დასასახელებლად. ჰოროსკოპში მონაწილეთ გამარჯვებულის ზუსტად ამოცნობისთვის ეწერებათ 3 ქულა, II ადგილის მფლობელის ზუსტად დასახელებისთვის — 2, III პრიზიორის გამოცნობისთვის — 1 ქულა. საბოლოოდ გამარჯვებულებს რედაქცია ფასიან საჩუქრებს გადასცემს.




**მეხიკოს ექო**

მეხიკოს ოლიმპიადის წინ ჰოროსკოპში პირველნი ჩაებნენ ხ. ლევენსონი („მორნინგ სტარი“, ინგლისი), ვ. გიტერი („დერ ლაიპტატლეტი“, გდრ), ლ. სკინდერი (პოლონეთის ტელევიზია), ბ. ბაზუნოვი („სპორტ ვ სსსრ“), ა. აბდულაევი („ლიოგკაია ატლეტიკა“), ვ. ოტკალენკო („პრავდა“), ი. ვანიატი („ტრუდი“), ვ. გორბუნოვი („სპორტივნაია ჟიზნ როსიი“), ბ. ბუხოვცევი (საკდესი) და ა. სრებნიცკი (ახალი ამბების სააგენტო). ჟურნალმა მათი ვარაუდები სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა.

ახლა, როცა ოლიმპიადა დამთავრდა და მძლეოსნობის ყველა სახეობაში პრიზიორებიც ცნობილია, შეიძლება ჟურნალისტთა თავისებური კონკურსის შედეგებზეც ვიმსჯელოთ.

100 მეტრზე ვაჟთა რბენაში „ყველას აჯობა“ ოტკალენკომ, რომელმაც ზუსტად ამოიცნო პირველი და მესამე პრიზიორების (ჰაინსი და გრინი) ვინაობა. ჰაინსს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა კიდევ ხუთი ჟურნალისტი, მაგრამ, სამაგიეროდ, ისინი ვერცხლის მედლის პრეტენდენტად მიიჩნევდნენ გრინს ან რ. სმითს, სინამდვილეში კი II ადგილი იამაიკელმა ლ. მილერმა დაისაკუთრა (იგი ჰოროსკოპის მონაწილეთაგან საერთოდ არავის დაუსახელებია).

200 მეტრზე გამარჯვების პრეტენდენტად ყველამ (ოტკალენკოს გარდა) თ. სმითი აღიარა, სკინდერმა და ბაზუნოვმა კი მესამე პრიზიორი ჯ. კარლოსიც ამოიცნეს. სამაგიეროდ, II ადგილზე გასული ავსტრალიელი პ. ნორმანი არავის მოჰგონებია.

400 მეტრზე ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა გორბუნოვი, რომელმაც დაასახელა ოქროსა და ვერცხლის პრიზიორები ევანსი და ჯეიმსი, რისთვისაც 5 ქულა მიიღო და ჰოროსკოპში ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

ჟურნალისტები ყველაზე მეტად 800 მეტრზე რბენაში მოსალოდნელი პრიზიორების დასახელებისას მოტყუვდნენ. ისინი ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებდნენ მატუშევსკის, კიპრუგუტს, კემპერს, ბელს, რაიანს, სინამდვილეში კი ოქრო მოიპოვა ავსტრალიელმა დაუბელმა, რომელსაც საპრიზო ადგილის პრეტენდენტადაც არავინ მიიჩნევდა. აქ ყველაზე ზუსტნი აღმოჩნდნენ გიტერი, გორბუნოვი, სრებნიცკი და აბდულაევი. მათ სწორად თქვეს, ვერცხლის მედალს კიპრუგუტი მოიპოვებსო.

1500 მეტრზე რბენაში მხოლოდ გორბუნოვის ვარაუდი გამართლდა და მანაც მხოლოდ მესამე პრიზიორი ამოიცნო — ტიუმლერი. მართალია, ვანიატმა დაასახელა ორი პრიზიორი (რაიანი და კეინო), მაგრამ მათი ადგილები ზუსტად ვერ განსაზღვრა.

5000 მეტრზე გამარჯვებას ყველა კეინოს უწინასწარმეტყველებდა, მეხიკოში კი იგი II ადგილს დასჯერდა. ჰოროსკოპის მონაწილეებმა ვერც მეორე და მესამე პრიზიორები დაასახელეს. წინასწარმეტყველებამ 10000 მეტრზე უპირატესობა ვანიატს არგუნა — მან გამოიცნო ოქროსა (ტემუ) და ვერცხლის (ვოლდე) პრიზიორები. ამ სახეობაში სხვა ჟურნალისტები შეუფასებელი დარჩნენ.

ჰოროსკოპის მონაწილენი ამაოდ დაშვრნენ მარათონის (გარდა ბუხოვცევისა, რომელმაც დაასახელა მეორე პრიზიორი კიმიჰარა), 3000 მეტრზე წინაღობებით რბენის (სკინდერმა გამოიცნო ვერცხლის მფლობელი კოგო), უროს ტყორცნის, 800 მეტრზე ქალთა რბენის (გიტერმა გამოიცნო II ადგილის მფლობელი სილაი), ბირთვის კვრის, შუბის ტყორცნის პრიზიორების დასახელებისას.

სამაგიეროდ, ხარეკორდო მოსავალი იყო ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. აქ ოტკალენკომ და სკინდერმა უშეცდომოდ დაასახელეს სამივე პრიზიორი (აშშ, კუბა, სსრ კავშირი), ვანიატმა და გიტერმა — I და II ადგილების მფლობელნი, სრებნიცკიმ და ბაზუნოვმა კი პირველი და მესამე პრიზიორები.

ქულათა მაქსიმუმი (6) მოაგროვა ლევენსონმა, როცა ზუსტად დაასახელა ვაჟთა ესტაფეტაში (4×100) გამარჯვებულთა ვინაობა (აშშ, კუბა, საფრანგეთი).

ჟურნალისტებმა საოცარი ერთსულოვნება გამოიჩინეს სამივე ესტაფეტაში, ვაჟთა ბირთვის კვრასა და შუბის ტყორცნაში გამარჯვებულთა დასახელებაში. სამხტომსა და ქალთა შორის 200 მეტრზე რბენაში პირველობის მთავარ პრეტენდენტებად ყველა (ლევენსონის გარდა) ვ. სანეევსა და ი. კირშენშტეინ-შევინსკას მიიჩნევდა.

საბოლოოდ ყველაზე ზუსტი აღმოჩნდა ლ. სკინდერი: მან 204 შესაძლებლიდან 62 ქულა მოაგროვა. სკინდერს 3 ქულით ჩამორჩა გიტერი. III ადგილზეა ვანიატი, რომელსაც 53 ქულა აქვს.

როგორც ხედავთ, პროგნოზები სახიფათო საქმეა და რა გულმოდგინებაც უნდა გამოიჩინოს კაცმა, შეცდომებისგან მაინც არავინაა დაზღვეული.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 12 ნოემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. 9 ნოემბერი.** „დინამოს“ სტადიონი. ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის დასკვნითი თამაშები. 13 საათზე — მატჩი III ადგილისთვის, 15 საათზე — მატჩი I ადგილისთვის. **10 ნოემბერი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). დასაწყისი 15 ს. **11 ნოემბერი.** სსრ კავშირის პირველობა. „დინამო“ (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი). დუბლიორთა შემადგენლობანი. დასაწყისი 13 ს. 30 წ. უეფა-ს ევროპული ტურნირის შესარჩევი შეხვედრა სსრ კავშირისა და ფინეთის ჭაბუკთა გუნდებს შორის. დასაწყისი 15 ს. და 30 წ. **12 ნოემბერი.** სსრ კავშირის პირველობა. „დინამო“ (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 15 ს. 30 წ.

**ჭრიგი. 13, 14, 15, 17, 18 ნოემბერი.** სპორტის სასახლე. სსრ კავშირის გუნდური პირველობა. მონაწილეობენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „ზენიტისა“ და პროფკავშირთა ნაკრები გუნდები. დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ა 9 უე 11083